# ინტერესთა გამოხატვა

## ქ. თბილისში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების შემოთავაზებისა და ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნ(ებ)ის მშენებლობა/მართვის უზრუნველსაყოფად ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე

### 1. მოთხოვნები დაინტერესებული პირ(ებ)ის მიმართ

კანდიდატები ვალდებულნი არიან ინტერესის გამოხატვის წერილთან ერთად წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია და დოკუმენტები:

1. საფირმო სახელწოდება და მისამართი;

2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან/იურიდიული პირის რეგისტრაციის მოწმობა (და სხვა, დაფუძნების ან/და კომპანიის სახელის ცვლილების შესახებ არსებული დოკუმენტები);

3. იურიდიული პირის წესდების ნოტარიულად დამოწმებული ასლები;

4. კომპანიის რეზიუმე;

5. გამოცდილების აღწერა, რომელიც დაადასტურებს კანდიდატის ან კანდიდატის ქვეკონტრაქტორების შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს ამავე დოკუმენტით (გამოცდილება) განსაზღვრული კრიტერიუმები. იმ შემთხვევაში, თუკი კანდიდატის გამოცდილება ეყრდნობა ქვეკონტრაქტორების გამოცდილებას, დამატებით საჭიროა წარმოდგენილ იქნეს პროექტში მონაწილეობის მიღების მზადყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტები თითოეული ქვეკონტრაქტორისთვის. გამოცდილების აღწერის განაცხადს თან უნდა ახლდეს გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები და ცნობები;

6. პროექტში მონაწილე ყველა მხარისათვის - წინა 3 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს იმ იურიდიულ პირთა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელთაც ეს მხარეები მიეკუთვნებიან;

7. იმ პარტნიორთა სათანადოდ დამოწმებული სია, რომლებიც ფლობენ კანდიდატის წილის/აქციების 5 პროცენტზე მეტს;

8. ბიზნეს-კონცეფცია (ძირითადი ფინანსური გათვლების ჩათვლით);

9. შემოთავაზებული ტექნოლოგიებით მათ მიერ შექმნილი და უკვე მოქმედი ქარხნ(ებ)ის ნუსხა საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით, აგრეთვე, მიმდინარე პროექტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

10. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების სფეროში აქტივობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება (აუცილებელია გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა);

11. წერილი იმის თაობაზე, რომ კომპანია იღებს ვალდებულებას საქართველოს მოქალაქეებისგან დააკომპლექტოს ქარხნ(ებ)ის მშენებლობისა და ოპერირებისათვის აუცილებელი პერსონალის არანაკლებ 70 პროცენტი;

12. უცხოური საწარმოს შემთხვევაში, ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნის მიერ აპოსტილით დამოწმებული, ხოლო ქართულ ენაზე ნათარგმნი დოკუმენტაცია – ნოტარიულად დამოწმებული.

## 2. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები

1. წარმოდგენილი კანდიდატებიდან უპირატესობა მიენიჭება ისეთ წინადადებას, ვინც არ მოითხოვს გადასახადს (Gate/Tipping Fee) ქარხნ(ებ)ისათვის მიწოდებული ნარჩენების გადამუშავებასთან დაკავშირებით.

2. წარმოდგენილი წინადადებების შერჩევა-შეფასება მოხდება სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით. მათ შორის: ინვესტიციის მოცულობა და ვადა, შემოთავაზებული წარმოების ტექნოლოგია, ეკონომიკური სარგებლიანობა და სხვა.

3. იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი განაცხადით კანდიდატები აღმოჩნდებიან ერთნაირ პირობებში, კომისია ამ განაცხადების წარმომდგენ პირებს განუსაზღვრავს დამატებით ვადას შეფასების კრიტერიუმის ნაწილში გაუმჯობესებული წინადადებების წარმოდგენის მიზნით.

## 3. ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განაცხადის წარდგენა

1. ინტერესთა გამოხატვის შესახებ განაცხადი (ქართულ და ინგლისურ ენებზე) წარდგენილი უნდა იყოს 1 ნაბეჭდი, ხელმოწერილი ორიგინალის და ერთი ელექტრონული ასლის (PDF) სახით, რომლებიც უნდა იყოს მოთავსებული დალუქულ კონვერტში და უნდა ჩაბარდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, არაუგვიანეს 2015 წლის 15 აპრილის 18 საათისა თბილისის დროით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7. ნაბეჭდ ორიგინალსა და ელექტრონულ ასლს შორის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ნაბეჭდ ორიგინალს.

2. დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება კანდიდატებს.

3. განაცხადი (ქართულ და ინგლისურ ენებზე), თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, უნდა წარედგინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ელ. ფოსტის მეშვეობით waste@tbilisi.gov.ge, 2015 წლის 15 აპრილის ჩათვლით.

4. კანდიდატებს შეუძლიათ წარმოადგინონ განცხადებები და მოითხოვონ განმარტებები ცალკეულ საკითხებზე მოცემული ელექტრონული მისამართის მეშვეობით, არაუგვიანეს 2015 წლის 1 აპრილისა.

5. იმ შემთხვევაში, თუკი კანდიდატი ზემოხსენებულ ინფორმაციას არ წარმოადგენს ინტერესის გამოხატვის შესახებ განცხადების წარდგენისას, ან წარმოადგენს არასრულად, მისი კანდიდატურა არ იქნება განხილული. აგრეთვე, ვადის დარღვევით წარდგენილი განაცხადები რჩება განუხილველი, რაზეც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია შესაბამის პირებს უგზავნის შეტყობინებას.

## 4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და მუნიციპალური კომპანიის უფლებები და ვალდებულებები

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია იღებს ვალდებულებას დაინტერესებულ პირს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმაროს ნარჩენების გადამამუშავებელი კონკრეტული ქარხნისთვის აუცილებელი მიწის ფართობის მოძიებასა და საორიენტაციოდ 25-წლიანი უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადაცემის საკითხში მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის (BOT) მემორანდუმის საფუძველზე. ამასთან, აღნაგობის უფლების გადაცემა განხორციელდება ვალდებულებების შესრულების პირობით.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ასევე იღებს ვალდებულებას, ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა უზრუნველყოს აუცილებელი კომუნიკაციებით.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში გადაამოწმოს კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის უტყუარობა ან/და დამატებით მოითხოვოს დოკუმენტაცია.

4. შპს „თბილსერვის ჯგუფი“ ხელს შეუწყობს ნარჩენების გადამამუშავებელი კონკრეტული ქარხნისთვის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების იმ კონკრეტული ოდენობის მიწოდების პროცესის ორგანიზებას (ქარხნამდე მიტანას), რომელიც დადგინდება ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ მომზადებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის საფუძველზე.

5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალური კომპანია დაინტერესებული პირის წინაშე არ იღებს ვალდებულებას, რაიმე ფორმით უზრუნველყოს ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნ(ებ)ის მიერ წარმოებული პროდუქციის შესყიდვა.

6. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალური კომპანია გამარჯვებული პირის წინაშე არ იღებს ვალდებულებას მისაწოდებელი საყოფაცხოვრებო ნარჩენის შემადგენლობაზე.

7. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალური კომპანია დაინტერესებული პირის წინაშე არ იღებს რაიმე სახის ფინანსურ ვალდებულებას ქარხნისათვის მიწოდებული ნარჩენების გადამუშავების გადასახადთან დაკავშირებით (Gate/Tipping Fee).

8. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალური კომპანია გამარჯვებული პირის წინაშე არ იღებს ვალდებულებას გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენის პოლიგონამდე ტრანსპორტირებაზე.

## 5. ინტერესთა გამოხატვის და განხილვის პროცედურები

1. კანდიდატთა „მოკლე სიას“ (short list), ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განაცხადების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდგომ, 45 კალენდარული დღის განმავლობაში, განსაზღვრავს კომისია. „მოკლე სიაში“ შევა მხოლოდ 5 ისეთი კანდიდატი, რომელიც კომისიის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილებს ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის პირობებს.

2. კანდიდატებს გაეგზავნებათ წერილობითი შეტყობინება „მოკლე სიაში“ შესვლის ან არშესვლის შესახებ. წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღის ვადაში, დაინტერესებული პირი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგენს დეტალურ ბიზნეს-გეგმას და ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას (Feasibility Study), რომელსაც

იხილავს კომისია. წარმოდგენილ დოკუმენტაციას 30 დღის განმავლობაში განიხილავს კომისია და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დაინტერესებულ პირს ეცნობება წერილობით.

3. „მოკლე სიაში“ შესული კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია/ტექნიკურ ეკონომიკური კვლევა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ინფორმაცია გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის სახეობისა და მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ;
- ინფორმაცია წარმოების სიმძლავრის (დღიურად გადამუშავებული ნარჩენის მოცულობა - ტონა) შესახებ;
- ინფორმაცია ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნ(ებ)ის მშენებლობისთვის აუცილებელი ინვესტიციის სავარაუდო მოცულობის შესახებ;
- პროექტის განხორციელების ვადები (საპროექტო სამუშაოებისთვის აუცილებელი ვადისა და უშუალოდ სამშენებლო სამუშაოებისთვის აუცილებელი ვადების მითითებით);
- ინფორმაცია გამოყენებული სტანდარტების/ნორმების შესახებ;
- ძირითადი ტექნიკური პარამეტრები და ტექნოლოგიის აღწერილობა (სერტიფიკატების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაცია ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნ(ებ)ის განთავსების სავარაუდო ადგილ(ებ)ის შესახებ;
- გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის რეალიზების სავარაუდო სქემა და ბაზარი;
- ინფორმაცია ნარჩენების გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი საწარმოო ნარჩენის მოცულობის, შემადგენლობისა და საწარმოო ნარჩენის განთავსების გეგმის შესახებ.

## 6. მემორანდუმის პირობები

1. მემორანდუმი ფორმდება იმ დაინტერესებულ პირთან, რომელის ბიზნეს-გეგმასაც, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, მიენიჭება უპირატესობა სხვა ბიზნეს-გეგმებთან მიმართებით. მემორანდუმი ფორმდება კომისიის მიერ კანდიდატისთვის უპირატესობის მინიჭების თაობაზე წერილობითი შეტყობინებიდან არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში.

2. მემორანდუმის გასაფორმებლად აუცილებელია, რომ ბიზნეს-გეგმის მოწონებისა და თანამშრომლობის სურვილის დადასტურების წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში, დაინტერესებულმა პირმა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებისა და მემორანდუმის პირობების მიხედვით წარმოსადგენი სამშენებლო ნებართვის მიღების უზრუნველსაყოფად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგინოს უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტია („წინასამშენებლო გარანტია“) მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნ(ებ)ის მშენებლობისთვის აუცილებელი მთლიანი ინვესტიციის სავარაუდო მოცულობის 2%-ის (ორი) ოდენობით იმ ვალუტაში, რომელშიც წარმოდგენილი იქნება საინვესტიციო

წინადადება. წინასამშენებლო გარანტია გაცემული უნდა იყოს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის" (OECD) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში (დამოწმებული საქართველოს ეროვნული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ) ან საქართველოში ლიცენზირებული ნებისმიერი საბანკო დაწესებულების მიერ.

3. დაინტერესებულ პირთან გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წარმოდგენის ვადა განისაზღვრება ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულება გაფორმდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წარმოდგენისა და მემორანდუმის პირობების მიხედვით წარმოსადგენი სამშენებლო ნებართვის მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში.

5. პირობების (გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება და მემორანდუმის პირობების მიხედვით წარმოსადგენი სამშენებლო ნებართვის მიღება) დარღვევა გამოიწვევს დამრღვევი პირისთვის საურავის დაკისრებას, წინასამშენებლო გარანტიით გათვალისწინებული მთლიანი თანხის 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. დაკისრებული საურავის გადახდა უნდა განხორციელდეს დამრღვევი პირის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო, თუ აღნიშნულ ვადაში გადახდა არ განხორციელდა – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოხდება წინასამშენებლო გარანტიიდან საურავის გადაუხდელი ოდენობის თანხის მოთხოვნა.

6. იმ შემთხვევაში, თუ დამრღვევ პირზე დაკისრებული საურავების ჯამი შეადგენს წინასამშენებლო გარანტიით გათვალისწინებული მთლიანი თანხის 50%-ს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს მემორანდუმის მოქმედება. ასეთ შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდება გარანტიით გათვალისწინებული მთლიანი თანხის მოთხოვნა.

7. საინვესტიციო პერიოდში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნ(ებ)ის წარმოების პროცესის უზრუნველსაყოფად და შესაძლო რისკების დასაზღვევად შესაძლებელია კომისიის მიერ მომზადდეს და განხილულ იქნას ინვესტორის მხრიდან დამატებითი გარანტი(ებ)ის წარმოდგენის რეკომენდაციები.

8. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ ნაგავსაყრელზე ინტერესთა გამოხატვის შედეგად, კომპანიაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი განაცხადი, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ამ განაცხადის წარმომდგენი პირის გამარჯვებულად ცნობის შესახებ.

9. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირთან დასადებ მემორანდუმსა და ხელშეკრულების პროექტს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია უთანხმებს საქართველოს მთავრობას და მთავრობის მიერ მოწონების შემთხვევაში, ხორციელდება მათი ხელმოწერა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულ პირთან არ მოხდა მემორანდუმის დადება, კომისია უფლებამოსილია, მემორანდუმი დადოს დარჩენილ მონაწილეებს შორის მომდევნო საუკეთესო განაცხადის წარმომდგენ პირთან.

11. მემორანდუმის პირობების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს მუნიციპალური კომპანია მის მიერ დაქირავებული საზედამხედველო-საექსპერტო ორგანიზაციის მეშვეობით და წარუდგენს ინფორმაციას კომისიას.

## 7. კომისიის უფლებამოსილებები

კომისია უფლებამოსილია:

• კანდიდატის მიერ წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით მოითხოვოს დაზუსტება ან დამატებითი დოკუმენტაცია;

• დისკვალიფიკაცია მისცეს ნებისმიერ იმ კანდიდატს, რომლის განაცხადი ინტერესის გამოხატვაზე არ შეესაბამება ამ მოწვევით განსაზღვრულ ინსტრუქციებს;

• დისკვალიფიკაცია მისცეს ნებისმიერ იმ კანდიდატს, რომელიც ინტერესის გამოხატვაზე განაცხადში დაამახინჯებს არსებულ ფაქტებს;

• უკან გამოიწვიოს ეს მოწვევა ინტერესთა გამოხატვაზე, ან ხელმეორედ მოიწვიოს კანდიდატები იმავე ან სხვა საფუძვლით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნების გზით.

## 8. გამოყენებადი სამართალი და დავების მოგვარება

1. ინტერესთა გამოხატვის შესახებ განაცხადი და დოკუმენტების წარდგენა, აგრეთვე, აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

2. აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა განიხილება საქართველოს სასამართლოების მიერ.

## 9. ძირითადი მონაცემები

საორიენტაციო მონაცემები: ქ. თბილისის მოსახლეობის რაოდენობის, ნარჩენების სავარაუდო შემადგენლობის, კომპანიის მართვაში არსებული ნაგავსაყრელის, მათზე განთავსებული ნარჩენების რაოდენობის შესახებ მოცემულია დანართებში.

საკონტაქტო პირი:
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან: ავთანდილ სუდაძე
ტელეფონი: +995 591 90 88 44
ელ.ფოსტა: a.sudadze@tbilisi.gov.ge
შპს "თბილსერვის ჯგუფიდან": გიორგი ბაგრატიონი
ტელეფონი: +995 599 99 99 90
ელ.ფოსტა: geo.bagrationi@yahoo.com